ორგანიზაციის დასახელება	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია
კონტრაქტის ნომერი	83453090
პროექტის დასახელება	ქალაქ ყვარელში, ადგილზე წარმოებული სუვენირების საგამოფენო და გასაყიდი სივრცის მოწყობა და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია.
გრანტის ოდენობა	238 061 ლარი
საანგარიშო პერიოდი	07/11/2023 – 07/11/2024

საბოლოო ანგარიში

2023 წლის 7 ნოემბერს, ხელი მოეწერა CESL-ის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებულ, ყვარლის მუნიციპალიტეტის პროექტს „ადგილზე წარმოებული სუვენირების საგამოფენო და გასაყიდი სივრცის მოწყობა და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია" (კონტრაქტის ნომერი: 83453090). ხელშეკრულების პერიოდი განისაზღვრა 10 თვით, რაც გულისხმობდა მის დასრულებას მიმდინარე წლის 7 სექტემბერს. შესყიდვის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაში ვერ მოხერხდა სატენდერო პროცედურების დასრულება. შემსრულებელი კომპანიის შესარჩევად საჭირო გახდა ტენდერის სამჯერ გამოცხადება. საბოლოო ტენდერის შედეგად გამოვლენილ კომპანია „შპს ტექტონთან" ხელშეკრულება დაიდო 2024 წლის 22 მაისს, რომელიც ძალაში იყო 2024 წლის 18 ნოემბრამდე. სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 150 კალენდარული დღე. გამომდინარე აქედან, შესაბამისად მოხდა GIZ-თან დადებული კონტრაქტის გახანგრძლივება.

ყვარლის მუნიციპალიტეტს, შესრულებული აქვს ხელშეკრულებაში მოცემული ყველა აქტივობა: მუნიციპალურ ბიუჯეტში გრანტის თანხის ასახვა, ტენდერის საშუალებით შემსრულებელი კომპანიის შერჩევა და დაკონტრაქტება, სამუშაოების შესყიდვა. ამ მომენტისათვის, კონტრაქტორ კომპანიას სრულად აქვს შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი, როგორც გრანტის, ასევე თანადაფინანსების თანხით შესასრულებელი ვალდებულებები. ასევე დასრულებულია ანგარიშსწორების პროცედურა. შპს ტექტონის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, გრანტის თანხით შესასრულებელი სამუშაოებისათვის კომპანიის ანგარიშზე გადარიცხულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული ოდენობა 238 061 ლარი (6/11/2024).

პროექტის ფარგლებში, ქალაქ ყვარელში, 9 აპრილის სკვერში აშენდა ადგილზე წარმოებული სუვენირებისა და ხელოვნების ნიმუშების საგამოფენო და გასაყიდი სივრცე. მოეწყო სველი წერტილი და განახლდა სკვერის ინფრასტრუქტურა. დამონტაჟდა ახალი ენერგო ეფექტური გარე განათება. ასევე სკვერში დამონტაჟდა მზის ენერგიაზე მომუშავე "სმარტ სკამები".

იდენტიფიცირებულია ბიზნესები, რომლებიც მზად არიან ახლად აშენებულ პავილიონში დაიწყონ საქმიანობა, დაწყებულია ტურ-ოპერატორებისთვის და ყველა დაინტერესებული მხარისათვის ინფორმაციის მიწოდება ქალაქ ყვარელში ახალი, ტურისტულად საინტერესო ადგილის შესახებ. მონიტორინგის აქტივობები განხორციელდა დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით.

პროექტის შედეგად, ქალაქ ყვარელში გაჩნდა ახალი ტურისტულად საინტერესო ადგილი, რომელიც მიმზიდველი იქნება ქალაქის ვიზიტორებისათვის და ამავდროულად, თავის წვლილს შეიტანს ადგილობრივი მეწარმეების შემოსავლების გენერირებაში.

დანართი: სურათები

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი: ბერი ბაუტაშვილი

თარიღი: 20.11.2024

ხელმოწერა:

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA CITY HALL OF KVARELI MUNICIPALITY
241578574